ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2700038

ნომერი: AR1413183

თარიღი : 14.06.2016

გაცემის თარიღი : 08.07.2016

გაცნობის თარიღი : 09.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N64-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინა ნონიაშვილი პ/ნ 24001007313
- კასპი დ.აღმაშენებლის ქ.80 ბ 28

ორგანიზაცია:

- სს"გრინ ლაინ" კოდი: 404454229

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის მოპირკეთების, არსებული მოაჯირის ახლით შეცვლის, ვიტრინის, კარისა და ფანჯრის ღიობის მოწყობის) განხორციელებისა და სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. #64–ის მიმდებარედ, შპს "რაფაელი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის მოპირკეთების, არსებული მოაჯირის ახლით შეცვლის, ვიტრინის, კარისა და ფანჯრის ღიობის მოწყობის) განხორციელებასა და სარეკლამო აბრების მოწყობას. ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.14.03.036.013; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზები, რენდერები, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისი, სექტორი–ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. #64–ის მიმდებარედ, შპს "რაფაელი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის მოპირკეთების, არსებული მოაჯირის ახლით შეცვლის, ვიტრინის, კარისა და ფანჯრის ღიობის მოწყობის) განხორციელებისა და სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროებისამებრ კონსტრუქციული ნახაზები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.